GOV 2 25 00026065

06/10/2025

გიგზავნით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 2 ოქტომბრის N1608 განკარგულებას.

საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი

ლევან ერიქაშვილი

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

**N 1608 2025 წლის 2 ოქტომბერი ქ. თბილისი**

## ზ. ეზუგბაიას საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

1. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - ზურაბ ეზუგბაია.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. თანდილაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის

წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 8 სექტემბრის №1468 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე